„ქუდი - მე, ქუდი - მთვარეს“

კითხვის გაწაფულობაზე ორიენტირებული გაკვეთილი ქართულ ენაში, რომლის თავდაპირველი ვერსია შექმნილია ***USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის*** *ფარგლებში*

გაკვეთილის მიზანი: გაგება-გააზრების სტრატეგიებით ტექსტის წაკითხვა და კითხვის გაწაფულობაში ვარჯიში (მოსწავლეები შეძლებენ ტექსტის წაკითხვას, მის გააზრებას და გაწაფულად წაკითხვას)

წინარე ცოდნა: მოსწავლეები კითხულობენ მათი ასაკისა და ცოდნის შესაბამის სასწავლო ტექსტებს, შეუძლიათ მათი გააზრება და გამომუშავებული აქვთ ასეთი ტექსტების გაწაფულად წაკითხვის უნარები.

სასწავლო პერიოდი: მესამე-მეოთხე კლასი, 2 გაკვეთილი (90 წუთი)

გამოსაყენებელი რესურსი: ტექსტი „ქუდი - მე, ქუდი - მთვარეს“, ტექსტის ილუსტრაციები, სამუშაო ფურცლები.

გაკვეთილის ქარგა:

1. ტექსტის ილუსტრაციაზე საუბარი
2. სამოდელო წაკითხვა პაუზებით
3. სიტყვებზე დაკვირვება
4. დამოუკიდებელი კითხვა, კითხვებზე პასუხი
5. გაწაფული წაკითხვის აქტივობა
6. გაკვეთილის შეჯამება

აქტივობა 1. ტექსტის ილუსტრაციაზე საუბარი

აქტივობის მიზანი: მოსწავლეების დაინტერესება და მოტივაციის აღძვრა, საჭირო ლექსიკის წინასწარ დამუშავება

აქტივობის საჭიროების დასაბუთება: ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეთა ინტერესის გამოწვევა და წასაკითხი ტექსტის ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის გაცნობა ბავშვებს ტექსტის აღქმაში დაეხმარება.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს წასაკითხი ტექსტის „ქუდი - მე, ქუდი - მთვარეს“ ერთ-ერთ საკვანძო ილუსტრაციას და ეკითხება, რას ხედავენ მასზე.

ბავშვები ასახელებენ ყველა საგანს: ხე, ქუდი, ბიჭი, გოგო, ფოთლები...

შემდეგი ინტერაქცია შესაძლოა წარიმართოს შემდეგნაირად:

- რას აკეთებენ ბავშვები?

- ხეს უყურებენ?

- რატომ უყურებენ ხეს?

- იმიტომ, რომ ხეზე ქუდია.

- როგორ ფიქრობთ, ვისი ქუდია ხეზე?

- პირველი ბავშვის... მეორე ბავშვის?

- როგორ ხასიათზე არიან ბავშვები? უხარიათ? არ უხარიათ?

- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება ამ ტექსტში? რაზე იქნება ეს ამბავი?

აქტივობა 2. სამოდელო წაკითხვა პაუზებით

აქტივობის მიზანი: ტექსტის გაწაფულად წაკითხვის მოდელირება და მის გააზრებაში დახმარება

აქტივობის საჭიროების დასაბუთება: მასწავლებლის მიერ სამოდელო წაკითხვა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, დააკვირდნენ წაკითხვის საუკეთესო მაგალითს. ამასთან ერთად, მასწავლებელი ეხმარება მათ ტექსტის სათანადოდ გააზრებაში.

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს პაუზებით, ხმამაღლა, ზომიერი სიჩქარით, სწორად, ინტონაციით, პაუზების დროს განმარტავს და აზუსტებს ზოგიერთ სიტყვას, სვამს კითხვებს ტექსტის უკეთ გაგების მიზნით და ეხმარება მოსწავლეებს პასუხების გაცემაში.

ტექსტის კითხვის დროს პაუზების შერჩევა დამოკიდებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

აქტივობა 3. სიტყვებზე დაკვირვება

აქტივობის მიზანი: სიტყვების მნიშვნელობაზე დაკვირვება და მათი დამახსოვრება

აქტივობის საჭიროების დასაბუთება: სიტყვების მნიშვნელობის ცოდნა, მათზე ვარჯიში აუცილებელია როგორც ტექსტის გააზრებისთვის, ისე გაწაფული წაკითხვისთვისაც.

მასწავლებელი ტექსტიდან შეარჩევს რამდენიმე სიტყვას, რომლებსაც სავარჯიშოებში გამოიყენებს. პირველ რიგში, დააზუსტებენ ამ სიტყვების მნიშვნელობას, მერე კი სავარჯიშოებს შეასრულებენ.

შერჩეული სიტყვები:

გასართობი

ლოლიპოპი

მომტაცა

ასწლოვანი

საჭმლის

გამამხიარულა

ამ სიტყვების შემადგენელი ასოებისგან ბავშვები შეადგენენ სხვა სიტყვებს. მაგალითად: გასართობი - თარო, ლოლიპოპი - ლილო, მომტაცა - ცოტა, ასწლოვანი - საწოლი, საჭმლის - სამი, გამამხიარულა - მხარი...

შეიძლება, მოსწავლეები დაიყონ ჯგუფებად და მასწავლებელმა ორ-ორი სიტყვა დაურიგოს თითოეულ ჯგუფს.

აქტივობა 4. დამოუკიდებელი კითხვა - კითხვებზე პასუხი

აქტივობის მიზანი: ტექსტის გააზრება

აქტივობის საჭიროების დასაბუთება: ტექსტის გააზრება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია, თუმცა ეს აქტივობა კითხვაში გაწაფვასაც უწყობს ხელს.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცლებს - ტექსტს შეკითხვებით (იხ. დანართი) - და აძლევს სათანადო დროს დამოუკიდებელი კითხვისა და კითხვებზე პასუხისთვის. შესაძლოა, ეს აქტივობა წარიმართოს წყვილებშიც.

აქტივობა 5. გაწაფული კითხვის აქტივობა

აქტივობის მიზანი: გაწაფული კითხვის უნარის განვითარება

აქტივობის საჭიროების დასაბუთება: გაწაფული მკითხველები უფრო ადვილად ახერხებენ ტექსტის გაგება-გააზრებას.

გაწაფულ კითხვაში გავარჯიშების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს აყენებს რიგში (თუ კლასში ბევრი მოსწავლეა, მაშინ ორი რიგიც შეიძლება) და წარმართავს კითხვის პროცესს ე. წ. კითხვის მატარებლის მეთოდით (შესაძლოა, მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფისთვის გამოიყენოს ტექსტის ადაპტირებული ვარიანტი - იხ. დანართი).

მოსწავლეები დგებიან რიგში და ხელში უჭირავთ ტექსტი. მასწავლებლის ნიშანზე (ტაში, ზანზალაკის წკრიალი ან სხვა) პირველი მოსწავლე იწყებს ხმამაღლა კითხვას. ამ დროს სხვები ჩუმად, თვალის გაყოლებით კითხულობენ. მომდევნო ნიშანზე პირველი მოსწავლე წყვეტს კითხვას და გადაინაცვლებს რიგის ბოლოში, ხოლო კითხვას აგრძელებს მეორე მოსწავლე.

აქტივობა 6. გაკვეთილის შეჯამება

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებისთვის უკუკავშირის მიცემა და გაკვეთილის შეჯამება, საშინაო დავალების მიცემა

აქტივობის საჭიროების დასაბუთება: გაკვეთილის დასრულებისას სასარგებლო იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა და როგორ გააკეთეს მოსწავლეებმა და ამისთვის სათანადო უკუკავშირი მივცეთ.

მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, ნაბიჯ-ნაბიჯ გაიხსენებს გაკვეთილის თითოეულ აქტივობას და სათანადო უკუკავშირს აძლევს მოსწავლეებს.

საშინაო დავალებად შეიძლება მივცეთ ტექსტის ხმამაღლა კითხვაში ვარჯიში, რათა უფრო სწრაფად, უშეცდომოდ და სათანადო ინტონაციით მოახერხონ წაკითხვა.

დანართი: ტექსტი (შექმნილია USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში)

ქუდი - მე, ქუდი - მთვარეს

	ერთ დღეს მე და ჩემი და-ძმა პარკში წაგვიყვანეს. უამრავი **გასართობი** იყო ირგვლივ: საქანელები, ბამბის ნაყინი, ფერადი ბუშტები და ბურთები... ძალიან გვიხაროდა.
დედამ და მამამ ჩემს ძმას ვარსკვლავის ფორმის სათვალე უყიდეს, მე - ლურჯი კეპი, ჩემს დას კი - მარწყვის **ლოლიპოპი**.	

სახლისკენ რომ მოვდიოდით, ძლიერი ქარი ამოვარდა და ქუდი **მომტაცა**.

ქარმა ჩემი ქუდი წაიღო, წაიღო და ჩვენს სახლთან დიდი **ასწლოვანი** მუხის ტოტზე ჩამოკიდა.



დავიწყე ტირილი. **საჭმლის** ჭამაც აღარ მინდოდა. დედამ მითხრა, ხვალ სხვა ქუდს გიყიდიო, მაგრამ მე დარდისგან მაინც აღარ დამეძინა.

დაღამდა. ცაზე მთვარე გამოჩნდა. მივედი ფანჯარასთან. მთვარე ეზოს ანათებდა. მთვარე მუხასაც ანათებდა.	
	ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ქუდი თითქოს მთვარეს ეხურა თავზე. ძალიან ლამაზი იყო. **გამამხიარულა** ამ ამბავმა.
დედას მოვუყევი, რომ მთვარეს ჩემი ქუდი ეხურა. მეორე დღეს დედამ მართლა მიყიდა ისეთივე ქუდი, ოღონდ წითელი.	
	დაღამდა. მე და მთვარეს ორივეს ქუდები გვეხურა. ძალიან ბედნიერი ვიყავი.

დანართი: ადაპტირებული ტექსტი დიფერენცირებული სწავლებისთვის

ქუდი - მე, ქუდი - მთვარეს

	ერთ დღეს მე და ჩემი და-ძმა პარკში წაგვიყვანეს. საქანელები, ბამბის ნაყინი, ფერადი ბუშტები და ბურთები... ძალიან გვიხაროდა.
დედამ და მამამ ჩემს ძმას სათვალე უყიდეს. მე - ლურჯი კეპი, ჩემს დას კი - ლოლიპოპი.	
	სახლისკენ რომ მოვდიოდით, ქარმა ქუდი მომტაცა.

ქარმა ჩემი ქუდი წაიღო, წაიღო და ჩვენს სახლთან მუხის ხეზე ჩამოკიდა.	
	დავიწყე ტირილი. დედამ მითხრა, ხვალ სხვა ქუდს გიყიდიო.
დაღამდა. მივედი ფანჯარასთან. ეზოს მთვარე ანათებდა. მთვარე მუხის ხესაც ანათებდა.	

	ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ქუდი თითქოს მთვარეს ეხურა თავზე. ძალიან ლამაზი იყო.
დედას ვუთხარი, რომ მთვარეს ჩემი ქუდი ეხურა. მეორე დღეს დედამ მართლა მიყიდა წითელი ქუდი.	
	დაღამდა. მე და მთვარეს ორივეს ქუდები გვეხურა.

დანართი: სამუშაო ფურცელი ტექსტის გააზრებისთვის

<table>
<tr>
<td>ერთ დღეს მე და ჩემი და-ძმა პარკში წაგვიყვანეს. უამრავი გასართობი იყო ირგვლივ: საქანელები, ბამბის ნაყინი, ფერადი ბუშტები და ბურთები...

ძალიან გვიხაროდა.</td>
<td>1) სად წაგვიყვანეს მე და ჩემი და-ძმა?
ა) პარკში;
ბ) ზოოპარკში;
გ) სკოლაში.
 </td>
</tr>
<tr>
<td>დედამ და მამამ ჩემს ძმას ვარსკვლავის ფორმის სათვალე უყიდეს. მე - ლურჯი კეპი, ჩემს დას კი - მარწყვის ლოლიპოპი.</td>
<td>2) დააკავშირე, ვის რა გვიყიდეს:
<table>
<tr><td>მე</td><td rowspan="3"></td><td>ლოლიპოპი</td></tr>
<tr><td>ჩემს დას</td><td>სათვალე</td></tr>
<tr><td>ჩემს ძმას</td><td>კეპი</td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>სახლისკენ რომ მოვდიოდით, ძლიერი ქარი ამოვარდა და ქუდი მომტაცა.</td>
<td>3) რამ მომტაცა ქუდი?
ა) სახლმა;
ბ) ქარმა;
გ) კეპმა.
 </td>
</tr>
<tr>
<td>ქარმა ჩემი ქუდი წაიღო, წაიღო და ჩვენს სახლთან დიდი ასწლოვანი მუხის ხეზე ჩამოკიდა.</td>
<td>4) სად წაიღო ქარმა ჩემი ქუდი?
ა) ვაშლის ხეზე;
ბ) მუხის ხეზ;
გ) მსხლის ხეზე.</td>
</tr>
</table>

დავიწყე ტირილი. **საჭმლის** ჭამაც აღარ მინდოდა. დედამ მითხრა, ხვალ სხვა ქუდს გიყიდიო, მაგრამ მე დარდისგან მაინც აღარ დამეძინა.	**5) რას მიყიდის ხვალ დედა?** ა) სხვა ქუდს; ბ) ახალ სათვალეს; გ) ლოლიპოპს.
დაღამდა. ცაზე მთვარე გამოჩნდა. მივედი ფანჯარასთან. მთვარე ეზოს ანათებდა. მთვარე მუხის ხესაც ანათებდა.	**6) როდის გამოჩნდა მთვარე?** ა) როცა დაღამდა; ბ) როცა გათენდა; გ) როცა დედა მოვიდა.
ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ქუდი თითქოს მთვარეს ეხურა თავზე. ძალიან ლამაზი იყო. **გამამხიარულა** ამ ამბავმა.	**7) სად იყო ქუდი?** ა) მთვარეზე; ბ) ხეზე; გ) ოთახში.
დედას მოვუყევი, რომ მთვარეს ჩემი ქუდი ეხურა. მეორე დღეს დედამ მართლა მიყიდა ისეთივე ქუდი, ოღონდ წითელი.	**8) რა მიყიდა დედამ მეორე დღეს?** ა) მწვანე ქუდი; ბ) ლურჯი ქუდი; გ) წითელი ქუდი.
დაღამდა. მე და მთვარეს ორივეს ქუდები გვეხურა. ძალიან ბედნიერი	**9) რატომ ვიყავი მე ბედნიერი?** ა) იმიტომ, რომ ახალი ქუდი მეხურა. ბ) იმიტომ, რომ მთვარეს ქუდი ეხურა; გ) იმიტომ, რომ მე და მთვარეს ქუდები

ვიყავი.	გვეხურა.

დანართი

შეფასების ფურცელი

მოსწავლის სახელი	აქტივობა მაღალი ↑ დაბალი ↓ საშუალო ↔	სწრაფი ჩანაწერები	საბოლოო კომენტარი
ალი	↔	ყოვნდება შედარებით გრძელი სიტყვების წაკითხვისას.	სჭირდება ვარჯიში გრძელი სიტყვების უშეცდომოდ წაკითხვაში.
ანაჰიტი			
ბექა			
გარი			
დიანა			
ეკა			
ვარტიტერი			
ზაჰრა			